

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“

**კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

31 დეკემბერი 2020 წ

ს ა რ ჩ ე ვ ი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კრესითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგების და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი ოპერაციები-----	6
2. მომზადების საფუძველი-----	6

შპს „აუდიტი - A“

„AUDITI - A“ LLC

საქართველო, ქ. თბილისი ზღვისუბნის
დასახლება, კვარტალი IX, კორპუსი N15, ბინა N24
მობ.: 577429137; 591191705
ელ-ფოსტა: alania49@mail.ru ;
ს/კ400290662

Georgia, Tbilisi, Nadzaladevi
Tsgvisubani settlement, quarter IX
building N15, apartment N24
mob.: 577429137; 591191705
E-mail: alania49@mail.ru

For and on behalf of „Audit A“ LLC (Reg.№ SARAS-F-911029) Jemal Alania (Reg.№SARAS-A-336078)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კრესითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს მფლობელებს და მმართველებს
ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“-სა და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კრესითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ყველა არსებითი თვალსაზრისით თანმიმდევრულია კონპანიის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, 2-ე შენიშვნაში აღწერილი საფუძვლის შესაბამისად.

კრესითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

ჯგუფის კრესითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც გამომდინარეობს აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან, მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
 - მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას
- დასრულებული წლების მიხედვით;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას იმავე პერიოდისათვის
 - კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და
 - კრესით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებულ შენიშვნებს;

კრესითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არ შეიცავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მოთხოვნილ ყველა გამოვლინებას, რომელიც გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

კრესითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და აუდიტორის დასკვნა არ არის აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებისა და აუდიტორის დასკვნის შემცველი. აუდიტირებული

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არ ასახავს ჩვენი აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების დასკვნის თარიღის შემდგომ წარმოშობილ მოვლენათა შედეგებს.

აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და ჩვენი აუდიტის დასკვნა

ჩვენს დასკვნაში გამოვთქვამთ არამოდიფიცირებულ აუდიტორულ მოსაზრებას აუდიტირებული კონსოლიდირებული ანგარიშგებების შესახებ, რომელიც თარიღდება 2021 წლის 29 სექტემბრით.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ

მენიშენა 2-ში აღწერილი საფუძვლების შესაბამისად მენეჯმენტი პასუხისმგებელია კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ

ჩვენი პასუხისმგებლობას წარმოადგენს, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები აუდირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ყველა მატერიალური, არსებითი თვალსაზრისით, ჩვენ პროცედურებზე დაყრდნობით, რომლებიც შესრულდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად 810 (გადასინჯული) - „გარიგებები დასკვნის შედგენაზე კრებსითი ფინანსური ანგარიშგებების შესახებ“

შპს „აუდიტი - A“ -ს სახელით (რეგისტრაციის № SARAS-F-911029)

ჯემალ ალანია (რეგისტრაციის № SARAS-A-336078)



29 სექტემბერი 2021 წელი
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასობით ქართლ ლარში

31 დეკემბერი 2020

31 დეკემბერი 2019

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	40,784	51,873
არამატერიალური აქტივები	2,298	1,693
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,585	8,072
სულ გრძელვადიანი აქტივები	49,667	61,638

მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	29,406	26,890
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,571	25,775
სახელშეკრულებო აქტივები	1,499	148
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	3,965
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	364	3,424
სულ მოკლევადიანი აქტივები	49,840	60,202
სულ აქტივები	99,507	121,840

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	9	9
გაუნაწილებელი მოგება	24,196	31,558
სულ კაპიტალი	24,205	31,567

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	3,120	2,519
ანარიცხები აქტივების ბრუნვიდან ამორების ვალდებულების შესახებ	370	330
სახელშეკრულებო ვალდებულებები	808	1,845
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4,909	1,522
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	9,207	6,216

მოკლევადიანი ვალდებულებები		
სესხები	22,775	20,069
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,477	32,276
სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,622	30,088
მოგების მიმდინარე გადასახადი	-	-
ანარიცხები ვალდებულებების და გადასახადების შესახებ	1,221	1,624
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	66,095	84,057
სულ ვალდებულებები	75,302	90,273
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	99,507	121,840

დამტკიცებულია გამოსაყენებლად და მენეჯმენტის სახელით ხელი მოეწერა 2021 წლის 29 სექტემბერს.

ა. შიჩუაძე
0104

ამირან მამუჭაძე
დირექტორი

ლ. ყვავაძე

ლალი ყველაიძე
მთავარი ბუღალტრის მოვალეობის შემსრულებელი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასობით ქართლ ლარში	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	40,784	51,873
არამატერიალური აქტივები	2,298	1,693
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,585	8,072
სულ გრძელვადიანი აქტივები	49,667	61,638
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	29,406	26,890
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,571	25,775
სახელშეკრულებო აქტივები	1,499	148
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	3,965
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	364	3,424
სულ მოკლევადიანი აქტივები	49,840	60,202
სულ აქტივები	99,507	121,840
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	9	9
გაუნაწილებელი მოგება	24,196	31,558
სულ კაპიტალი	24,205	31,567
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	3,120	2,519
ანარიცხები აქტივების ბრუნვიდან ამორების	370	330
ვალდებულების შესახებ		
სახელშეკრულებო ვალდებულებები	808	1,845
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4,909	1,522
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	9,207	6,216
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სესხები	22,775	20,069
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	38,477	32,276
სახელშეკრულებო ვალდებულებები	3,622	30,088
მოგების მიმდინარე გადასახადი	-	-
ანარიცხები ვალდებულებების და გადასახადების შესახებ	1,221	1,624
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	66,095	84,057
სულ ვალდებულებები	75,302	90,273
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	99,507	121,840

დამტკიცებულია გამოსაყენებლად და მენეჯმენტის სახელით ხელი მოეწერა 2021 წლის 29 სექტემბერს.

ამირან მამუჭაძე
დირექტორი

ლალი ყველაიძე
მთავარი ბუღალტრის მოვალეობის შემსრულებელი

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასობით ქართულ ლარში	2020 წ	2019 წ
ამონაგები	136,640	178,445
სხვა შემოსავალი	965	754
გამოყენებული ნედლეული და სახარჯო მასალები	(54,813)	(79,629)
პროექტთან დაკავშირებული ხარჯები	(56,676)	(60,333)
თანამშრომელთა ხარჯები	(18,584)	(19,779)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	(8,961)	(8,374)
დამკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებიდან მოსალოდნელი ზარალის ანარიცხები	403	715
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება	(42)	(266)
ძირითადი საშუალებებით მიღებული წმინდა მოგების განკარგვა	208	746
გაცვლითი კურსის სხვაობები	502	787
სხვა წმინდა საოპერაციო ხარჯები	(3,686)	(5,534)
საოპერაციო მოგება/ზარალი	(4,044)	7,532
ფინანსური შემოსავალი	121	424
ფინანსური ხარჯები	(3,439)	(2,193)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე	(7,362)	5,763
მოგების გადასახადი	-	-
წლის მოგება/ზარალი	(7,362)	5,763
სხვა სრული შემოსავალი		-
ჯამში წლის სრული მოგება/ზარალი	(7,362)	5,763

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასობით ქართულ ლარში	2020 წ	2019 წ
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება/ზარალი მოგების გადასახადამდე	(7,362)	5,763
კორექტირებები :		
ცვეთა და ამორტიზაცია	8,961	8,374
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	42	266
წინასწარი გადახდების ჩამოწერა	-	1
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან წმ შემოსულობა	(208)	(746)
ფინანსური შემოსავალი	(192)	(424)
ფინანსური ხარჯები Cost	3,823	1,527
უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობები	(507)	(749)
საგადასახადო ჯარიმა-საურავის ანულირება/დარიცხვა	81	62
სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ ანარიცხების ანულირება	-	-
დამკვეთებთან დადებული ხელშეკრულებებიდან	(403)	(715)
მოსალოდნელი ზარალის ანარიცხები		
სხვა არაფულადი საოპერაციო ხარჯები	3,612	48
ფულადი ნაკადების გადინება/შემოდინება კაპიტალში ცვლილებების შეტანამდე	7,847	13,407
ვაჭრობის და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება	13,775	(22,363)
სახელშეკრულებო აქტივებში ზრდა/შემცირება	(1,351)	594
მარაგების ზრდა/შემცირება	(2,686)	(16,499)
შეზღუდული ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება	3,965	13,414
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება	16,838	14,048
სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა/შემცირება	(27,504)	(9,735)
მიღებული პროცენტი	122	221
გადახდილი პროცენტი	(4,710)	(3,003)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	6,296	(9,916)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(8,195)	(10,091)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	84	581
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,327)	(505)
არამატერიალური აქტივების გაყიდვით მიღებული შემოსავალი	196	-
დაკავშირებული მხარეებისადმი გაცემული სესხები	(27)	(407)
დაკავშირებული მხარეების მიერ სესხის დაფარვა	14	225
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(9,255)	(10,197)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავლები მიღებული სესხებიდან	17,480	28,184
სესხების დაფარვა	(16,636)	(18,067)
ფინანსური საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(807)	(1,038)
კომპანიის მფლობელთა ტვის გადახდილი დივიდენდები	-	(933)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	37	8,146
სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენა ფულად სახსრებსა და მის ექვივალენტებზე	(138)	(149)

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“

ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(3,060)	(12,116)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3,424	15,540
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	364	3,424

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასობით ქართულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილე ბელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	9	26,758	26,767
წლის მოგება/ზარალი	-	5,763	5,763
სულ წლის სრული მოგება/ზარალი	-	5,763	5,763
გამოცხადებული დივიდენდები	-	(963)	(963)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	9	31,558	31,567
წლის მოგება/ზარალი	-	(7,362)	(7,362)
სულ წლის სრული მოგება/ზარალი	-	(7,362)	(7,362)
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	9	24,196	24,205

კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები - 31 დეკემბერი 2020

1 შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ და მისი ოპერაციები

წინამდებარე კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“-სა და მისი შვილობილი კომპანიებისათვის (ერთობლივად „ჯგუფი“).

2005 წლის 4 მაისს, კომპანია საქართველოში დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის წილის 75% -ს ფლობს შპს „ბლექ სი როუდი“ (ს/კ 204472061), კომპანია, რომელიც საქართველოშია დარეგისტრირებული, ხოლო 25% -ს ფლობს საქართველოს მოქალაქე, ბ-ნი გიორგი კალანდაძე. შპს „ბლექ სი როუდი“-ს 50% -ს ფლობს საქართველოს მოქალაქე ბ-ნი ამირან მამუჭაძე, ხოლო 50 % -ს ფლობს ბ-ნი გიორგი კალანდაძე.

„ჯგუფი“ ჩართულია გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის სამშენებლო პროექტებში და ფლობს ლიცენზიებს მინერალური რესურსების (ქვიშა და ხრეში) მოსაპოვებლად საქართველოში. „ჯგუფი“ ასევე აწარმოებს ბეტონსა და ასფალტს. ჯგუფის საწარმოო ობიექტები განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

2016 წლის 26 დეკემბერს, კომპანიამ გააფორმა შეთანხმება შპს „Vahagn&Samvel“-თან , რათა ხელშეკრულების შესრულების მიზნით ჩამოეყალიბებინათ ერთობლივი საწარმო, რაც ეხებოდა ბაკურციხე-გურჯაანის გზის მონაკვეთის შემოვლითი გზის გაუმჯობესებისა და მშენებლობის პროექტს, დიზაინსა და მშენებლობას . კომპანია ფლობს ერთობლივი საწარმოს წილის 51 % -ს და მის ეფექტურ კონტროლს. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულია სტრუქტურული ორგანიზაციის სახით.

2017 წლის 17 ოქტომბერს, კომპანიამ შპს „ აქვა ენერჯი“-სთან ერთად ჩამოაყალიბა შპს „ ბლექ სი ენერჯი“, რათა ჩართულიყო ჰიდროელექტროსადგურის პროექტირებისა და მშენებლობის პროცესებში .

2018 წლის 17 ივლისს , კომპანიის აქციონერებმა დააარსეს შპს „ სქაი უოთერ“-ი , სტრუქტურულად დაკავშირებული სუბიექტი სვანეთში , ივარში , ხელრასა და ნაკრაში ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით. 2020 წლის 31 დეკემბრისათვის და 2019 წლის 31 დეკემბრისათვის შპს „ სქაი უოთერ“-ის მთავარი კონტრაქტორები იყვნენ შპს „ ბლექ სი ენერჯი“(მომხმარებელი) და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“(მომწოდებელი) .

2019 წლის 10 მაისს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპმა“ შპს „ აბსოლუტ სერვისთან“ ერთად დააარსა „ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) აბსოლუტ სერვისი და კომპანია ბლექ სი გრუპი“ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ერთობლივად განხორციელების მიზნით

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №71 .

2 მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები გამომდინარეობს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებიდან, 2020 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის, რომელიც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) და გამოიცა 2021 წლის 29 სექტემბერს.

აღნიშნული კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადების მიზანს წარმოადგენს, რომ იგი გამოქვეყნდეს სხვადასხვა ტენდერებისთვის ან მესამე მხარის მიერ

დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც მოითხოვს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისა და მისი მოგებიანობის დემონსტრირებას.

კრებსითი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არ მოიცავს ყველაფრის გამჟღავნებას, რაც მოითხოვება ფასს-ის მიერ. ფასს-ის სრული ფინანსური ანგარიშგებები, ყველა მოთხოვნილ ანგარიშგებასთან და გამჟღავნებასთან ერთად, ეხება ჯგუფის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს შესაბამისი პერიოდისათვის .

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“

მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

1. ბიზნესის განვითარება, მდგომარეობა და შედეგები, ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ
2. კომპანიის მომავალი განვითარების გეგმა
3. სუბიექტის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა
4. ინფორმაცია ფილიალების შესახებ
5. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ
7. ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხის შესახებ დამატებითი ახნა-განმარტებანი
8. სუბიექტის საკრედიტო, ბაზრის, ლიკვიდობისა და ფულის მიმოქცევის რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა
9. ძირითადი რისკები და უზუსტობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

შენიშვნა : მმართველობის ანგარიშგება გაცემულია შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია ბიზნესის განვითარების, შესრულებისა და შედეგების შესახებ

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ (ს/კ 204477734) დაარსდა 04.05.2005 წ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

31.12.2019 წ მდგომარეობით შპს „ კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს 75 % -ის მფლობელია საქართველოში რეგისტრირებული კომპანია შპს „ბლექ სი როუდი“(ს/კ 204472061) ,ხოლო 25 % ის მფლობელია საქართველოს მოქალაქე ბ-ნი გიორგი კალანდაძე .შპს " ბლექ სი როუდი "-ს 50 %-ის მფლობელია საქართველოს მოქალაქე,ბ-ნი ამირან მამუჭაძე ,ხოლო 50 % -ის მფლობელი ბ-ნი გიორგი კალანდაძე.

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი “ ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში :

შპს „ ბლექ სი ვესტი “ -51 %(ს/კ 437058657) -კომპანია დაარსდა 08.02.2011 წ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.კომპანია უმოქმედოა.

ამხანაგობა „Company Black Sea Group and Vahagn & Samvel “ (ს/კ 205335797), - 51 % -ამხანაგობა შეიქმნა შპს Vahagn & Samvel-სა და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“ შორის შეთანხმებით,ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზის პროექტირებისა და მშენებლობის კონტრაქტის შესრულების მიზნით.

ერთობლივი საწარმო შპს „ბლექ სი ენერჯი „ -50%- შპს „კომპანია ბლექ სი გრუპმა“ შპს „აკვა ენერჯი“-სთან ერთად 17.10.2017 წ დააარსა შპს „ბლექ სი ენერჯი“,რომლის საქმიანობაა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაპროექტება და მშენებლობის განხორციელება

ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) აბსოლუტ სერვისი და კომპანია ბლექ სი გრუპი (ს/კ 205376332) -96 %


შპს „ კომპანია ბლექ სი გრუპი“-ს გენერალური დირექტორია ბ-ნი ამირან მამუჭაძე.

კომპანიის მართვა ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ,რომელიც შედგება შემდეგი წევრებისაგან:

- 1) გიორგი კალანდაძე
- 2) ამირან მამუჭაძე
- 3) მარიამ მშვიდლობაძე

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ კომპანიას გზების მშენებლობის სფეროში ,ამ სფეროში იგი არის დარგის ლიდერი,რაც არსებულ კონკურენტულ გარემოში მხოლოდ ეფექტური მართვის ხარჯზეა შესაძლებელი.

კომპანიას აქვს შემდეგი სტრუქტურა:



კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს:

- 1) გზებისა და ავტობანების მშენებლობა,
- 2) ხიდებისა და ესტაკადების მშენებლობა,
- 3) აეროპორტის ასაფრენი ზოლის მშენებლობა, ასევე თვითმფრინავების სადგომის რეკონსტრუქცია,
- 4) გადაზიდვის მომსახურება,
- 5) აღჭურვილობის იჯარა,
- 6) სამშენებლო მასალების რეალიზაცია,
- 7) ქვიშა ღორღოვანი კარიერებიდან ბუნებრივი რესურსების მოპოვება და დამუშავება,
- 8) ასფალტბეტონის წარმოება,
- 9) ბეტონის წარმოება.

კომპანიას გააჩნია საკუთარი მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, ინვენტარი და საქმიანობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები.

2 . კომპანიის მომავალი განვითარების გეგმა

კომპანია მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ტენდერებში, ასევე ჰყავს კერძო დამკვეთები და ხარისხიანად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მას გააჩნია ბევრი წარმატებით დასრულებული კონტრაქტი, ასევე მიმდინარე გრძელვადიანი პროექტები, რომლებიც დასრულდება 2020-2022 წლებში. კომპანია არის მომავალ გრძელვადიან მოგებაზე ორიენტირებული, ამიტომ ყოველწლიურად ზრდის საკუთარ აქტივებს, მათ შორის გრძელვადიან აქტივებს. მას ჰყავს ასევე გამოცდილი ინჟინერ-პერსონალი, აქვს ხარისხის მართვის განყოფილება, აქვს საკუთარი ლაბორატორია, შესაბამისი აღჭურვილობითა და მაღალკვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტებული, რომლის დანიშნულებაცაა წარმოებული მასალისა და სამუშაოს ხარისხის მუდმივი კონტროლი, რაც მომავალში მის მიერ პროექტის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

3. სუბიექტის მიერ ჩატარებული კვლევისა და განვითარების მიმოხილვა

2020 წელს კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სახის კვლევით ან განვითარებით აქტივობებში.

4. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

შპს „ კომპანია ბლექ სი გრუპს“ არ გააჩნია იურიდიულად რეგისტრირებული ფილიალები. იგი თავის საქმიანობას მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს. აქვს ობიექტები და საწარმოო ბაზები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: სვანეთში, ხარაგაულში, ოზურგეთში, აგარში, ბაკურციხეში, ალაიანში, თბილისის აეროპორტის მიმდებარედ და სააკაძეში .

ბაზებზე განთავსებულია კომპანიის კუთვნილი ქარხნები და მანქანა-დანადგარები: ასფალტის ქარხნები, მათ შორის ცივი ასფალტის წმოების ქარხანა, ბეტონის ქარხნები, ქვის სამტვრევი და გადამამუშავებელი დანადგარები, მილების და რკინა-ბეტონის კოჭების საამქრო, რაც კომპანიას აძლევს სხვადასხვა რეგიონში სამუშაოს ოპერატიულად და ხარისხიანდ განხორციელების საშუალებას.

5. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლის ანალიზი

		2020	2019	2018	პროგრესის ანხსა-განმარტება
1	ამონაგები	136,640	178,445	54,276	2019-2020 გარდამავალი პროექტების ნაწილობრივ დასრულებიდან გამომდინარე
2	საოპერაციო ზარლი/ მოგება	-4,044	7,532	-	2020 წლის ამონაგები 22,68 % ით შემცირებულია 2019 წელთან შედარებით. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები იმავე პერიოდში გაიზარდა 7 % - ით. პროექტთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები შემცირდა 6,06 % -ით, ასევე , ხარჯების ფიქსირებული ნაწილიდან გამომდინარე, მოგება შემცირებულია
3	საოპერაციო ზარალი/მოგება ცვეთის დარიცხვამდე	4,917	15,906	3,104	ცვეთის ხარჯის ოდენობიდან გამომდინარე
4	წლის ზარალი/მოგება	-7,362	5,763	-4,614	საოპერაციო მოგებასა და მთლიან მოგებას შორის განსხვავება ამ პერიოდისათვის არის უარყოფითი, ფინანსური ხარჯებიდან გამომდინარე.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლის ანალიზი

		2020	2019	2018	პროგრესის ანხსა-განმარტება
1	თანამშრომელთა საშუალო წლიური რაოდენობა	820	792	637	2020 წლისათვის დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა საჭიროებებიდან გამომდინარე
2	მდედრობითი სქესი	54	54	48	სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება. კომპანიაში ფუნქციონირებს გარემოს დაცვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებას. კომპანიას აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვები, აქვს შრომის უსაფრთხოების სამსახური და შესაბამისად, მუდმივად ახორციელებს გარემოსდაცვითი საქმიანობისა და შრომის უსაფრთხოების ზომების მონიტორინგს.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს კომპანიის მიერ არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შეძენა

7. ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხის შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებანი

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოსთვის დამახასიათებელია ინფლაციის მაღალი დონე, მაღალი საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო კურსის ცვალებადობა. შესაბამისად, კომპანია დგას ამ რისკების წინაშე. ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ფაქტორი, რომელიც გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგად კომპანიაზე, თუმცა შესაძლებლობის ფარგლებში ყველა ზომებს იღებს რისკის შემცირებისა და თავიდან აცილებისათვის. კომპანიას სამუშაოების განსახორციელებლად ესაჭიროება მასალები, რომელთა ნაწილის შესყიდვაც ხორციელდება უცხოელი მომწოდებლებისაგან, ხოლო ნაწილის შესყიდვა ხდება ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ღირებულებაზე გავლენას ახდენს სავალუტო კურსი. შესაბამისად, არსებობს სავალუტო რისკი.

მეორეს მხრივ, კომპანია ახორციელებს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პროექტებს, კომპანიის კონტრაქტორები არიან სახელმწიფო და კერძო დამკვეთები. საკონტრაქტო ღირებულებები ძირითადად განსაზღვრულია ლარში, მაგრამ ზოგიერთი კონტრაქტის ფასი განსაზღვრულია დოლარშიც, რაც სავალუტო რისკის შემცირებას იწვევს კომპანიისთვის. ასევე, სავალუტო რისკების მართვისათვის ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს ვალუტასთან დაკავშირებით, რისი მონიტორინგიც ხორციელდება ყოველთვიურად.

კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ვადებს და შესაბამისად ახდენს საკრედიტო რისკის შემცირებას.

ხელმძღვანელობის მიერ ყოველდღიურად ხდება მის ხელთ არსებული ფულადი სახსრების შემოწმება, აკონტროლებს და გეგმავს მის მოძრაობას, ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური რესურსების ბაზა, რომელიც შედგება ძირითადად სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებისგან.

8. ჯგუფის საკრედიტო, ბაზრის, ლიკვიდობისა და ფულადი სახსრების მოძრაობის რისკების განხილვა და მათი მართვის მექანიზმები

ჯგუფში რისკის მართვა ხორციელდება ფინანსური რისკების, ოპერაციული რისკების და იურიდიული რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასებიდან გამომდინარე რისკებს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს რისკების ლიმიტების დადგენა და მათი შემდგომი კონტროლირება.

ჯგუფი ახდენს საკრედიტო რისკების კონცენტრაციას, ანგარიშების მიღების გზით, მენეჯმენტი მართავს და აფიქსირებს თავმოყრილ საკრედიტო რისკებს.

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელშიც „სუბიექტს შეექმნება სირთულე იმ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც ასოცირდება ფინანსურ ვალდებულებებთან. მენეჯმენტი მართავს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ მოძრავ პროგნოზს. ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსება, რომელიც ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა გადასახდელებისგან.

9. ძირითადი რისკები და უზუსტობები, საწარმოს მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

ჯგუფში რისკის მართვა ხორციელდება ფინანსური რისკების, ოპერაციული რისკების და იურიდიული რისკების გათვალისწინებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა ფასების რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს რისკების ლიმიტების დადგენა და მათი შემდგომი კონტროლირება.

ჯგუფის ძირითადი ბიზნეს აქტივობები ხორციელდება საქართველოს ფარგლებში. საქართველოსთვის დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელი გარკვეული უზუსტობები, რომლებიც უკავშირდება მაღალ ინფლაციას და ვალუტის კურსის ცვალებადობას. ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა წარმოადგენს კომპანიის მთავარ რისკს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება საგადასახადო, იურიდიულ და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ზომებზე.

მმართველობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება ქონდეს ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის მიზნების მდგრად განვითარებას.

დირექტორი

ამირან მამუჭაძე

ა. მამუჭაძე 0104

მთავარი ბუღალტრის მოვალეობის
შემსრულებელი

ლალი ყველაიძე

ლ. ყველაიძე

ჯგუფის ძირითადი ბიზნეს აქტივობები ხორციელდება საქართველოს ფარგლებში. საქართველოსთვის დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელი გარკვეული უზუსტობები, რომლებიც უკავშირდება მაღალ ინფლაციას და ვალუტის კურსის ცვალებადობას. ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა წარმოადგენს კომპანიის მთავარ რისკს.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება საგადასახადო, იურიდიულ და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ზომებზე.

მმართველობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა ის განვითარება, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება ქონდეს ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. მმართველობას სჯერა, რომ იგი მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მხარი დაუჭიროს ჯგუფის მიზნების მდგრად განვითარებას.

დირექტორი

ამირან მამუჭაძე

**მთავარი ბუღალტრის მოვალეობის
შემსრულებელი**

ლალი ყველაიძე

შპს „აუდიტი - A“

„AUDITI - A“ LLC

საქართველო, ქ. თბილისი ზღვისუბნის
დასახლება, კვარტალი IX, კორპუსი N15, ბინა N24
მობ.: 577429137; 591191705
ელ-ფოსტა: alania49@mail.ru ;
ს/კ400290662

Georgia, Tbilisi, Nadzaladevi
Tsgvisubani settlement, quarter IX
building N15, apartment N24
mob.: 577429137; 591191705
E-mail: alania49@mail.ru

For and on behalf of „Audit A“ LLC (Reg.№ SARAS-F-911029) Jemal Alania (Reg.№SARAS-A-336078)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპ“-ის მფლობელებს და მმართველობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენის აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები („ფინანსური ანგარიშგებები“) ყველა არსებითი თვალსაზრისით, სმართლიანად წარმოაჩენს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპ“-ისა და მისი შვილობილი საწარმოების („ჯგუფის“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, მის 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ განვახორციელეთ შემდეგი სახის აუდიტირება

ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
- დასრულებული წლის ბოლოსათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
- კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება დასრულებული წლის ბოლოსათვის
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ განვახორციელეთ აუდიტირება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ასს) აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში „ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებისას აუდიტორის პასუხისმგებლობა.“

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებანი საკმარისი და შესაფერისია იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრების საფუძველები.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ „ჯგუფისაგან“ დამოუკიდებლები, „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ დადგენილი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად (IESBA კოდექსი) ჩვენ ავიღეთ ეთიკური პასუხისმგებლობა „ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ შეაბამისად.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენი აუდიტის დასკვნას მასზე)

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებასთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის მმართველობის ანგარიშგების წაკითხვა და ამით განსაზღვრა, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, არის თუ არა არსებითი უზუსტობები მასში.

ამასთანავე, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენი მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება მმართველობის ანგარიშგების კონკრეტული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში ისეთ ინფორმაციას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მენეჯმენტის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენი მხრიდან მოგვეთხოვება დავაფიქსიროთ აღნიშნულის შესახებ. თუმცა, ამ მხრივ ჩვენს დასკვნაში არაფერი გვაქვს წარმოსადგენი.

ჩვენი აუდიტის მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი მოსაზრება შემდეგია ყველა არსებითი ასპექტით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში ფინანსური წლისათვის, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება

ფინანსურ ანგარიშგებას ;და

- მმართველობის ანგარიშგება შეიცავს ინფორმაციას,რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით და შესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

მენეჯმენტისა და იმ პირთა პასუხისმგებლობა,რომლებიც ჩართულნი არიან ფინანსური ანგარიშგებების მართვაში

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთანავე, პასუხისმგებელია შიდა კონტროლზე, რომელიც განსაზღვრულია მენეჯმენტის მოთხოვნების შესაბამისად, რათა შესაძლებელი გახდეს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადება,სადაც არ ექნება ადგილი მატერიალურ, არსებით უზუსტობას, თაღლითობას ან შეცდომებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს „ჯგუფის“ უნარი განაგრძოს ფუნქციონირებადობა, როგორც მოქმედმა. აუცილებლობის შემთხვევაში გაამჟღავნოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ოპერაციების უწყვეტობასთან და აღრიცხვის პრინციპების უწყვეტ გამოყენებასთან, სანამ მენეჯმენტი არ დააპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ ექნება სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ აღნიშნულის განხორციელებისა. ის პირები, რომლებიც ჩართულნი არიან „ჯგუფი“-ს მმართველობაში, პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტირებისას

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული,დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება თავისუფალია მატერიალური, არსებითი უზუსტობებისგან, თაღლითობისა და შეცდომებისგან საერთო ჯამში და წარმოვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული, დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა, არ არსებობს გარანტია იმისა,რომ აუდიტირება, რომელიც შესრულდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად,ყოველთვის აღმოაჩენს მატერიალურ, არსებით უზუსტობას ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობანი შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომების ნიადაგზე და მიიჩნევა მატერიალურ,არსებით უზუსტობად იმ შემთხვევაში,თუ ცალკეულად ან საერთო ჯამში,მოსალოდნელია,რომ ისინი გავლენას მოახდენენ იმ პირების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე იღებენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.

როგორც აუდიტირების შემადგენელი ნაწილი, რომელიც ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტირების განმავლობაში ჩვენ

ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობასა და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი აუდიტის განმავლობაში. ამასთანავე, ვასრულებთ შემდეგს:

- ვახორციელებთ ფინანსური ანგარიშგების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ვადგენთ, რამდენად აქვს ადგილი თაღლითობას ან შეცდომას, ვახორციელებთ ისეთ აუდიტორულ პროცედურებს, რომლებიც რეაგირებენ ამ რისკებზე, მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად. რისკი იმისა, რომ შეიძლება ვერ მოხდეს მატერიალურ, არსებით უზუსტობათა აღმოჩენა, თაღლითობიდან გამომდინარე უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ უზუსტობა შესაძლოა გამოწვეული იყოს შეცდომების დაშვების საფუძველზე, ვინაიდან, თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, განზრახ დაუდევრობა-გამოტოვებას, ფაქტების დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის გაუქმებას.
- ჩვენ ვახორციელებთ აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლს, იმისათვის, რომ შევიძინოთ აუდიტორული პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება გარემოებებთან, მაგრამ ამას ვასრულებთ არა იმისთვის, რომ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება „ჯგუფის“ შიდა კონტროლის ეფექტურობასთან დაკავშირებით.
- ვახორციელებთ მენეჯმენტის მიერ გამჟღავნებული საბუღალტრო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაბამისობის შეფასებას.
- ვაჯამებთ მენეჯმენტის მიერ ბიზნესის უწყვეტობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მიღებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე ვადგენთ, არსებობს თუ არა მატერიალური, არსებითი შეუსაბამობა იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეჭვის წარმოშობა „ჯგუფის“ ქმედითუნარიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ვადგენთ, რამდენად შესწევს „ჯგუფს“ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობანი, ჩვენ მოგვეთხოვება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე ყურადღების გამახვილება, რომელიც უკავშირდება ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამჟღავნება არაადეკვატურია, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც მოპოვებულია ჩვენი აუდიტორული დასკვნის თარიღისათვის, თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა, ან გარემოებამ, შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა.
- ვახორციელებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიანი პრეზენტაციის, სტრუქტურისა და შინაარსის შეფასებას, მათ შორის გამჟღავნებული

ინფორმაციის შეფასებას და ვადგენთ,თუ რამდენად სამართლიანადაა წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი ოპერაციები და მოვლენები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით ჯგუფში არსებული სუბიექტების ფინანსური და ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ, პირადად ვაგებთ პასუხს ჩვენი აუდიტის დასკვნებზე.

ვაწარმოებთ კომუნიკაციას იმ პირებთან,რომლებიც ჩართულნი არიან მმართველობის საკითხებში, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი აღმოჩენების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც აღმოვაჩინეთ ჩვენი აუდიტის განმავლობაში.

**შპს „აუდიტი - A" -ს სახელით (რეგისტრაციის № SARAS-F-911029)
ჯემალ ალანია (რეგისტრაციის № SARAS-A-336078)**



29 სექტემბერი 2021 წელი

თბილისი, საქართველო